



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

# სამართლის ჟურნალი

№1, 2021



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

## მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესი

მეუღლეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ცივილიზებული სახელმწიფოების მონაპოვრად მიიჩნევა. მსოფლიოს თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად არაერთი პრინციპი და რეჟიმი იქნა შემუშავებული. შესაბამისად, ქართული საოჯახო სამართლისათვის, როგორც ერთ-ერთი ახალგაზრდა სისტემისათვის, აუცილებელია შედარებითისამართლებრივი მეთოდის გამოყენების გზით შესწავლილ იქნეს მონიშნული იურისდიქციების მქონე სახელმწიფოთა შესაბამისი გამოცდილება. აგრეთვე, აღნიშნული მიმართულებით არსებულ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მიღებული გადაწყვეტილებები საჭიროებს კრიტიკულ გააზრებას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავებას. წინამდებარე კვლევის მიზანიც სწორედ ზემოთ ხსენებულ სამართლის წყაროებზე დაყრდნობით, მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის პრობლემური საკითხების წარმოჩენა და გადაწყვეტაა.

**საკვანძო სიტყვები:** განკარგვითი გარიგება, კანონისმიერი და სახელშეკრულებო ქონებრივი რეჟიმები, მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების ბუნება, ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილების კრიტერიუმი, არაგამსხვსებელი მეუღლისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტი, საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის რეჟიმი.

### 1. შესავალი

საოჯახო სამართალი, როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ კონტექსტში, განეკუთვნება განსაკუთრებით სწრაფად განვითარებად შესწავლის საგანს, რამდენადაც ის ასახავს ადამიანთა რეალურ ყოფიერებას და არ ადგენს აბსტრაქტულ წესებს საზოგადოებისათვის – ეს არის ტენდენცია, რომელიც პირველად იქნა გამოვლენილი ჰენრი ჯეიმს სამნერ მეინის კლასიკურ ტექსტში სახელწოდებით „ანტიკური სამართალი.“<sup>1</sup> აღნიშნული სფერო იმ პირთა შორის სამართლებრივი ასპექტების მოწესრიგებას ემსახურება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეულით – საყოფაცხოვრებო მეურნეობით.<sup>2</sup> განმანათლებლობის ეპოქაში გაცხადებულმა იდეამ, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს დუალისტური ბუნება (ის არის ინდივიდი და, იმავდროულად, საზოგადოების წევრი), საოჯახო სამართლისთვისაც განაპირობა შესაბამისი ფილოსოფიური საფუძვლების შექმნა.<sup>3</sup> განვითარების მაღალი დონისა და მდიდარი ისტორიის მიუხედავად, საოჯახო სამართალშიც მოიძებნება პრობლემურ საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტის გზაც არაერთგვაროვანია. მაგალითად, საკუთრივ ოჯახის ცნება, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, არაერთხელ იქცა სხვადასხვა განმარტების საგნად. სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს ინგლისური სამართალი, რომლის წყაროებიც გვთავაზობენ ოჯახის

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მონვეული ლექტორი.

<sup>1</sup> *Burton F., Family Law, London, 2003, 4.*

<sup>2</sup> *Frier B. W., McGinn T. A. J., A Casebook on Roman Family Law, Oxford, 2004, 3.*

<sup>3</sup> *Muller-Freienfels W., Family Law and the Law of Succession in Germany, International and Comparative Law Quarterly, Vol. 16, 1964, 409.*

ცნების განმარტების ერთმანეთისგან განსხვავებულ მეთოდებსა და შინაარსებს: 1. შემთხვევით შერჩეული პირის განმარტება; 2. ფორმალისტური განმარტება, რომელსაც სამართალი უნდა დაეყრდნოს; 3. ფუნქციონალური განმარტება; 4. იდეალისტური განმარტება და 5. განმარტება თვითგამორკვევის საფუძველზე.<sup>4</sup> აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ინგლისურ სამართალში ოჯახის ცნების განმარტების სფეროში წამყვანი სასამართლო საქმეა – ფიცაბერიკი „სტერლინგ ჰაუსინგ ასოციაციის“ წინააღმდეგ. მოცემულ საქმეში, მოსამართლეთა უმრავლესობის განმარტების თანახმად, ოჯახის ცნება არ მოიცავს მხოლოდ იმ პირთა შორის ურთიერთობებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ქორწინებით ან სისხლით ნათესაური კავშირით.<sup>5</sup> აგრეთვე, მოსამართლე სლინის სამართლებრივი შეფასების მიხედვით, პირთა შორის ოჯახურ თანაცხოვრებას წარმოშობს ურთიერთდამოკიდებულების, ერთგულების, ზრუნვისა და მხარდაჭერის მაღალი ხარისხი, რის გამოც საოჯახო ურთიერთობად ვერ იქნება მიჩნეული დროებითი ზედაპირული ურთიერთობები. სწორედ აღნიშნულ განმარტებაზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი ერთსქესიან პირთა შორის შესაძლო ხანგრძლივი ფაქტობრივი თანაცხოვრების ოჯახად მიჩნევა.<sup>6</sup>

ზემოთ ხსენებული ოჯახის ცნების განმარტების მაგალითი ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ რაოდენ განსხვავებული პერსპექტივებით არის შესაძლებელი საოჯახო სამართლებრივი საკითხების განხილვა. ასეთივე პრობლემურ საკითხთა კატეგორიას მიეკუთვნება მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობებისა და მათი, როგორც თანამესაკუთრების, უფლებრივი მდგომარეობის მონესრიგების სფეროც. აღნიშნული სფერო მოიცავს მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების ფართო სპექტრს, რომელსაც მათ შორის განეკუთვნება თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხი. ქართულ სამართალში განკარგვის ცნებასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია მისი კავშირი კაუზალობის პრინციპთან.<sup>7</sup> წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ეროვნული და უცხო ქვეყნების სამართლებრივი წყაროების ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სკ) 1160-ე მუხლის შინაარსის სწორი განმარტება, მოქმედების სფერო და მისი მნიშვნელობა მეუღლეთა საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში.

## 2. სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის შინაარსი საკანონმდებლო ცვლილების კონტექსტში

კანონით დადგენილი მეუღლეთა ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების მომნესრიგებელი თავი საქართველოს სკ-ში წარმოდგენილია 14 მუხლით, რომელთაგან მხოლოდ 1160-

<sup>4</sup> ოჯახის ცნების განმარტების მეთოდებისა და შინაარსის შესახებ დეტალურად იხ. *Herring J., Family Law, Oxford, 2017, 2-4.*

<sup>5</sup> *Fitzpatrick vs. Sterling Housing Association Ltd, United Kingdom House of Lords, 1999, <www.publications.parliament.uk> [11.09.2021].*

<sup>6</sup> შენიშვნა: აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართალში მოცემული განმარტების გამოყენება ერთსქესიან პირთა შორის საოჯახო ურთიერთობის კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა შეეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსს, ასევე საქართველოს სკ-ის 1106-ე მუხლით დადგენილ ქორწინების ცნებას.

<sup>7</sup> *მაისურაძე დ.*, განკარგვით ხელყოფის კონდიქცია ქართულ და გერმანულ სამართალში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, № 8, 2020, მე-12 და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი გ.*, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, № 1, 2019, მე-20 და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი გ.*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2015, 257-ე და მომდევნო გვერდები.

ე მუხლმა განიცადა საკანონმდებლო ცვლილება 1997 წლიდან დღემდე. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა 2007 წლის 29 ივნისს, რომლითაც არსებითად შეიცვალა საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი მხარე. კერძოდ, განსახილველი მუხლი წარმოდგენილი იყო 2 ნორმით (წინადადებით), ხოლო საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ის ჩამოყალიბდა სამ ნაწილად. რაც შეეხება მუხლის შინაარსობრივ მხარეს, მისი თავდაპირველი რედაქცია ადგენდა, რომ იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაში შედის, ხორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ასევე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება შეიძლება ბათილად ყოფილიყო ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ექნებოდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნებოდა, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა. თავდაპირველი და მოქმედი რედაქციების შედარებისას, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ თანასაკუთრებაში არსებული ქონების მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განკარგვის წესი არ შეცვლილა, თუმცა არსებითი ცვლილება განიცადა არაგანმკარგავი მეუღლის მხრიდან ამ უკანასკნელის ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე საერთო ქონებაზე დადებული განკარგვითი გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის შესაძლებლობამ. კერძოდ, თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა განმკარგავი მეუღლის საერთო ქონების გასხვისების უფლებამოსილების არსებობა/არარსებობის (ობიექტური კომპონენტი) და მისი ცოდნა/არცოდნის (სუბიექტური კომპონენტი) საკითხების გადანყვეტა. შესაბამისად, განკარგვითი გარიგების ძალაში დატოვების/ბათილად ცნობის საკითხი უნდა გადანყვეტილიყო გამსხვისებელი მეუღლის პერსპექტივიდან გამომდინარე. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად კი, აღნიშნული გარემოებები აღარ წარმოადგენს სასამართლოს შეფასების საგანს და ყურადღება გადატანილია არაგანმკარგავი მეუღლის პერსპექტივიდან სადავო გარიგების ნამდვილობის შეფასებაზე. ნორმით დადგენილია მხოლოდ იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, როდესაც განკარგვითი გარიგება ნამდვილია არაგანმკარგავი მეუღლის პროტესტის მიუხედავად.<sup>8</sup> თუმცა ამ შემთხვევაში, საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილი აუცილებლად საჭიროებს დამატებით განმარტებას, რადგანაც დღეის მდგომარეობით, სამწუხაროდ, ქართული სასამართლო პრაქტიკა არ არის სწორი მიმართულებით განვითარებული, აღნიშნული ნორმის გამოყენების თვალსაზრისით. ასევე აღსანიშნავია, რომ სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი არაგანმკარგავი მეუღლის ის დამატებითი დამცავი ბერკეტია, რომელიც მას არ გააჩნდა საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე. შესაბამისად, თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, თუ მას შეეძლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მოეთხოვა განკარგვითი გარიგების ბათილად ცნობა და აღნიშნული გზით დაეცვა მისი თანასაკუთრების უფლება საერთო ქონებაზე, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, არაგანმკარგავი მეუღლის თანასაკუთრების დაცვასთან დაკავშირებული ინტერესი გათვალისწინებულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც განკარგვითი გარიგების ბათილად ცნობა არის დაუშვებელი შემძენის კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე. აღნიშნული კი მიღწეულია განკარგვით მიღებული სარგებლის არაგანმკარგავი მეუღლისათვის მოთხოვნის უფლების მინიჭებით. საქართვე-

<sup>8</sup> რუსიაშვილი ვ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, №10, 2020, 12.

ლოს სკ-ის 1160-ე მუხლის ხსენებული რედაქცია კანონში აისახა 2007 წლის 29 ივლისის ცვლილების შედეგად, ხოლო საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის დამდგენ 312-ე მუხლს დაემატა ამავე ცვლილების შესაბამისი მე-3 და მე-4 ნაწილები.<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ქართული იურიდიული დოქტრინა საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის არსებითად ერთგვაროვან განმარტებებს გვთავაზობს, თუმცა მოცემული განმარტებები საჭიროებს შემდგომ დაზუსტებასა და სრულყოფას.<sup>10</sup>

### 3. სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის განმარტება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში და მისი კრიტიკული გააზრება

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, თუ როგორ არის ქართულ სამართალში საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმი. კერძოდ, საქართველოს სკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი და 1176-ე მუხლის მე-3 ნაწილი ერთობლივად გვთავაზობს მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი რეჟიმების შინაარსს: 1. 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულებით კანონით დადგენილისგან განსხვავებულ წესზე შეთანხმების არარსებობის პირობებში, მოქმედებს თანაზიარი საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება ორივე მათგანს ეკუთვნის თანაბრად, წილის წინასწარ განუსაზღვრელად.<sup>11</sup> 2. 1176-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს მეუღლეთა მიერ დადებული ნამდვილი საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმისგან განსხვავებული რეჟიმების შეთანხმების შესაძლებლობას. ესენია: გაერთიანებული საკუთრების რეჟიმი (როდესაც მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაიქცეს საერთო საკუთრებად), წილობრივი საკუთრების რეჟიმი (როდესაც საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე შეთანხმების შესაბამისად დგინდება მეუღლეთა წილთა ოდენობა) და განცალკევებული საკუთრების რეჟიმი (როდესაც საერთო საკუთრება შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაიქცეს ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად). დასაშვებია კანონით გათვალისწინებული ყველა საკუთრების რეჟიმის კომბინირებულად გამოყენებაც, თუმცა დაუშვებელია აქ ჩამოთვლილი რეჟიმებისგან განსხვავებული, მეუღლეების მიერ ექსკლუზიურად მოფიქრებული რეჟიმის შეთანხმება. ასეთი შეთანხმება ბათილია. აღნიშნული კი გამომდინარეობს გერმანულ სამართალში იდენტიფიცირებული „ტიპოლოგიური განერილობის“ კონსტრუქციიდან, რომლითაც იკრძალება „ფანტაზიის ნაყოფი-ქონებრივი რეჟიმების“ შეთანხმება.<sup>12</sup>

საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის ქართულ სასამართლო პრაქტიკაში განმარტებაზე მსჯელობისას, თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული აქტუალურობით გა-

<sup>9</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე № 2ზ/211-12.

<sup>10</sup> *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო სამართალი, თბ., 2011, 158-159; *ნინუა ე.*, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, № 03(34), 2012, 50; *ბიჭია მ.*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, № 01(61), 2019, 90; *ფხალაძე ნ.*, მეუღლეთა საერთო საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი, *ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“*, № 14, 2020, 168; *ქანთარია გ., ჯგერენაია ვ.*, მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, *ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“*, № 8, 2018, 88.

<sup>11</sup> *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო სამართალი, თბ., 2011, 162.

<sup>12</sup> *რუსიაშვილი გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, შედარებითი სამართლის ჟურნალი, № 10, 2020, 18.

მოიჩვენა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტება, შემძენის კეთილსინდისიერების კონტექსტში. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების შეძენისას იცავს მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს ქონების თანამესაკუთრედ არარეგისტრირებული მეუღლის პრეტენზიისაგან.<sup>13</sup> შესაბამისად, უძრავი ქონების შეძენის კონტექსტში საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის შინაარსი ყოველთვის განიმარტება სისტემურად საქართველოს სკ-ის 185-ე და 312-ე მუხლებთან კავშირში.<sup>14</sup> შემძენის კეთილსინდისიერების შეფასების მასშტაბთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში მითითებული აქვს, რომ მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის მიერ მეორე მეუღლის თანასაკუთრების წილის განკარგვა მერყევად ბათილია და მისი ნამდვილობა ამ უკანასკნელის თანხმობაზეა დამოკიდებული, თუმცა რამავე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესით დაცულია შემძენის ინტერესი იმ მეუღლის პრეტენზიისაგან რომელიც საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული არ არის, მაგრამ მას აღნიშნული უფლება, რეგისტრირებული ქორწინების პირობებში ქონების შეძენის საფუძვლით ჰქონდა. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება ცხადყოფს, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლის უფლება აბსოლუტური არ არის და ქონებაზე მესაკუთრედ დარეგისტრირებული პირის მიერ მეუღლეთა თანასაკუთრების (მათ შორის მეორე მეუღლის წილის) გასხვისებისას, მეორე მეუღლის საკუთრებითი უფლებამოსილების რეალიზაცია განსაზღვრულ გარემოებაზე, კერძოდ, შემძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტის დადგენაზეა დამოკიდებული. მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის დროს სადავო ქონებაზე მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლის შედაგება, ქონების გასხვისების გარიგების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განაპირობებს, თუ დადგინდება, შემძენმა არა მხოლოდ იცოდა ნასყიდობის საგანზე სხვა მესაკუთრის არსებობის თაობაზე, არამედ, ამავდროულად, ინფორმირებული იყო, რომ ქონების მესაკუთრედ დაურეგისტრირებელი მეუღლე ქონების გასხვისების წინააღმდეგი იყო. სხვა შემთხვევაში პრეზუმირებულია, რომ რეგისტრირებული მესაკუთრე მოქმედებს მეუღლესთან ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შემძენი შეძენის ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.<sup>15</sup> საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის გამოყენების კონტექსტში კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის პრინციპი ვრცელდება კეთილსინდისიერი იპოთეკარის შემთხვევაზეც. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში მითითებულია, რომ რადგანაც დადგენილია მესამე პირსა და ერთ-ერთ მეუღლეს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების

<sup>13</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე № 28/211-12.

<sup>14</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე № 28/211-12; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 09 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № 8/1403-12; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე № 28/3387-16.

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 22 იანვრის განჩინება საქმეზე № ას-1432-2019; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-397-397-2018; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მყარად დადგენილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა: № ას-756-707-2017; № ას-87-83-2017; № ას-571-879-2009; № ას-506-480-2015; № ას-7-7-2016; № ას-1563-1466-2012; № ას-1015-951-2012; № ას-1367-1289-2012; № ას-794-747-2012; ერთ-ერთ მეუღლესა და მესამე პირს შორის მოჩვენებითი გარიგების დადებისა და მისი შეფასების საკითხისათვის იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 02 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-8-2020; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-789-2019.

დადების ფაქტი, ხოლო სესხის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ამავე მეუღლის კუთვნილი უძრავი ქონება, იპოთეკის გაუქმება მეორე მეუღლის 2/3 წილზე, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა, გამოიწვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დარღვევას, რადგან საქართველოს სკ-ის 312-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ საჯარო რეესტრი წარმოადგენს კეთილსინდისიერი სამოქალაქო ბრუნვის გარანტს და ემსახურება ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების უზრუნველყოფას და დაცვას. აღნიშნული პრინციპი იცავს ასევე კრედიტორის (იპოთეკარის) უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იპოთეკარის უფლებებიც ისევეა დაცული, როგორც შემძენის და მათ ენიჭებათ უფლებამოსილება, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ იპოთეკით დატვირთული ნივთიდან, შესაბამისად, არაგანმკარგავ მეუღლეს უფლება აქვს საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მეორე მეუღლისგან მოითხოვოს ქონების იპოთეკით დატვირთვით მიღებული სარგებელი.<sup>16</sup> აღნიშნული განმარტება შეესაბამება განკარგვის ცნების ქართულ დოქტრინაში დამკვიდრებულ მნიშვნელობას.<sup>17</sup>

სკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების კონტექსტში საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, ერთი მეუღლის მიერ მეორის თანხმობის გარეშე დადებული გარიგებიდან ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი მოთხოვნა არ წარმოეშობა.<sup>18</sup> იმ შემთხვევაში, როცა განკარგვითი გარიგება ძალაში რჩება, სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი პრინციპის გათვალისწინებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი), სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილით არაგანმკარგავი მეუღლისათვის მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის, აუცილებელია სარჩელში მისი ცალკე მოთხოვნის საგნად ჩამოყალიბება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს აღიარებითი სარჩელის ფარგლებში (ცნოს თუ არა ბათილად განკარგვითი გარიგება), თუმცა აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ მხარეს მოთხოვნილი არ ექნება სასყიდლიანი განკარგვით მიღებული სარგებლის მისთვის ანაზღაურება (მიკუთვნებითი სარჩელი), მაშინ სასამართლო არ იქნება უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით განიხილოს აღნიშნული მოთხოვნის უფლების მართლზომიერების საკითხი.<sup>19</sup>

მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს ის განმარტება, რომელიც შეეხება სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სარგებლის ცნებისა და ზიანის კატეგორიის თანაფარდობის საკითხს. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსარჩელე ითხოვს არა სარგებელს, არამედ – ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მისი ანაზღაურების მოთხოვნის პირობებში, ზიანს წარმოადგენს აქტივის შემცირება და პასივის გაზრდა. თუ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქონების განკარგვით მიღებული თანხა, მაშინ ეს არა ზიანი, არამედ – სარგებელია. თუ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განკარგვა, რომლის სარგებელი არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქონების

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-565-536-2014.

<sup>17</sup> რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბ., 2016, 39.

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-951-989-2011.

<sup>19</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-123-118-2012.

რეალური ღირებულებაა, მაშინ ეს შესაძლებელია იყოს ზიანი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კვლევას მოითხოვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა: გასხვისების დროს არსებული ქონების ღირებულება; შემცირებული ღირებულების განმაპირობებელი გარემოებები და ა.შ.<sup>20</sup> ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, საკასაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება ერთ-ერთ საქმეზე, რომლის თანახმად მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობისათვის მნიშვნელობა ვერ მიენიჭება მხოლოდ მათ შორის ქორწინების ოფიციალური შეწყვეტის მომენტს, მაშინ როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქორწინების ოფიციალურ შეწყვეტამდე, ჯერ კიდევ, 1998 წლიდან მოსარჩელე და მოპასუხე ფაქტობრივად ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობდნენ.<sup>21</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, მხოლოდ ქორწინების რეგისტრაცია არ არის განმსაზღვრელი საკუთრებაზე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის უფლებრივი რეჟიმის გასავრცელებლად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ სადავო ნივთების შეძენისას მეუღლეები აღარ აწარმოებდნენ საერთო მეურნეობას და ქორწინება, მიუხედავად რეგისტრაციის არსებობისა, ფაქტობრივად იყო შეწყვეტილი. სარჩელი ეფუძნებოდა მოპასუხესთან თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმის განმსაზღვრელ ნორმებს და მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ იგი ცნობილი უნდა ყოფილიყო 2016 წლამდე, განქორწინების რეგისტრაციამდე, შეძენილი ყველა უძრავი ქონების მესაკუთრედ, ხოლო გასხვისებული უძრავი ქონებების ღირებულების ნახევარი ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო მონინალმდევე მხარის მხრიდან. თუმცა როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო სასამართლოების მიერ მეუღლეთა შორის საერთო და ინდივიდუალური საკუთრების გამიჯვნის საფუძვლად გამოყენებულ იქნა არა განქორწინების რეგისტრაციის, არამედ ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტის მომენტი. აქედან გამომდინარე, საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ვერ იქნა გამოყენებული მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტის მომენტიდან შემდგომ პერიოდში ერთ-ერთი მეუღლის მიერ მხოლოდ შეძენილი ან ჯერ შეძენილი და შემდგომ განკარგული რომელიმე ქონების მიმართ.

ქართული სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული გააზრების თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში არასწორად განმარტავს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების უფლების ცნებას, როდესაც დაზარალებულ მეუღლეს ავტომატურად, არამართლზომიერად გასხვისებული ქონების 1/2-ს თანამესაკუთრედ მიიჩნევს. აღნიშნული ცალსახად ეწინააღმდეგება თანაზიარი უფლების სამართლებრივ ბუნებას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში არცერთი მეუღლის წილი წინასწარ განსაზღვრული არ არის (საერთო ქონების გაყოფამდე). შესაბამისად, სანამ საერთო ქონება არ გაიყოფა და არ მოხდება მეუღლეთა წილებისა და ამ უკანასკნელს მიკუთვნებულ ნივთებზე ინდივიდუალური საკუთრების განსაზღვრა, მანამდე თითოეული მეუღლის საკუთრების უფლება საერთო ქონებაზე მთლიანად ვრცელდება და არა მის რომელიმე, თუნდაც 1/2 ნაწილზე. ამ თვალსაზრისით ქართული სასამართლო პრაქტიკა ზოგადად არასწორი მიმარ-

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმეზე № ას-1136-1067-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-881-843-2014.

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მარტის განჩინება საქმეზე № ას-1226-2020.



თულებით არის განვითარებული.<sup>22</sup> შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას გარიგება მთლიანად უნდა გაბათილდეს, რადგანაც ის რაც გასხვისდება მეორე მეუღლის ინფორმირების/თანხმობის გარეშე და ამასთან ერთად შემძენის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, მასზე სრულად ვრცელდება არაგამსხვისებელი მეუღლის თანასაკუთრება.

საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილი იცავს კეთილსინდისიერ შემძენს, ხოლო მე-3 ნაწილი თანამესაკუთრე, არაგამსხვისებელ მეუღლეს. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს თუ როგორ უნდა იქნეს განმარტებული და გაგებული ტერმინი განკარგვან საქართველოს სკ-ის 1160 მუხლის კონტექსტში. კერძოდ, განკარგვა არის გარიგება რომლის მიზანიც ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილებაა.<sup>23</sup> შესაბამისად, თუ პირადი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს საერთო ქონებას გამსხვისებელი მეუღლე, ასეთ შემთხვევაში არის დასაშვები ამ გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნა მეორე მეუღლის მიერ იმ საფუძვლით, რომ მან არ იცოდა ან/და არ ეთანხმებოდა გარიგების დადებას, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, თუ შემძენი კეთილსინდისიერია, მაშინ მეორე (არაგამსხვისებელი) მეუღლე ველარ მოითხოვს გარიგების ბათილად ცნობას, მაგრამ მოითხოვს გარიგებით მიღებული სარგებლის მისთვის გადაცემას. კეთილსინდისიერება უნდა შეფასდეს გამსხვისებლის არამართლზომიერების შემთხვევაში, ხოლო ეს უკანასკნელი არამართლზომიერია, როდესაც ის არღვევს საქართველოს სკ-ის 1159-ე მუხლის და ასევე 1160-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს. ასეთ შემთხვევაში გარიგების ძალაში დატოვება/არდატოვების საკითხის გადასაწყვეტად ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: რა არის საერთო ქონების განკარგვის მიზანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თუ ეს მიზანი ოჯახის ინტერესებს შეესაბამება, მაშინ გამსხვისებელი ისედაც მართლზომიერია და შემძენის კეთილსინდისიერების შეფასების საკითხი არ დგება, ისევე როგორც არ დგება საკითხი მეორე მეუღლის ინფორმირებისა და თანხმობის გაცემის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო ქონების განკარგვა ემსახურება გამსხვისებელი მეუღლის პირად ინტერესებს, მაშინ მას ესაჭიროება მეორე მეუღლის ინფორმირება და თანხმობა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი იმისათვის, რომ გარიგება იყოს ნამდვილი, აუცილებელია შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტის დადგენა, რომელიც უძრავი ქონების თანასაკუთრების შემთხვევაში საქართველოს სკ-ის 312-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განისაზღვრება. ქართული სასამართლო პრაქტიკა ზემოთ ხსენებულ „ოჯახის საჭიროებების დაფარვის“ კრიტერიუმს საერთოდ არ იყენებს და 1160-ე მუხლის კონტექსტში ნახსენებ განკარგვის გარიგებას მხოლოდ შემძენის კეთილსინდისიერების პერსპექტივიდან აფასებს, რაც აღნიშნული მუხლის შინაარსის გათვალისწინებით გამართლებული არ არის. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ შემოიღოს ზემოთ ხსენებული კრიტერიუმი, შემოსაზღვროს ნორმის მოქმედების სფერო და არაგამსხვისებელი მეუღლის თანხმობა სავალდებულოდ მიიჩნიოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გამსხვისებელი მეუღლე ცალსახად პირადი მიზნებისთვის იყენებს საერთო ქონებას.

<sup>22</sup> მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ივნისის განჩინება საქმეზე № ას-621-588-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება საქმეზე № ას-7-7-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 2 მარტის განჩინება საქმეზე № ას-1426-1346-2017.

<sup>23</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ., რუსიაშვილი გ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, № 10, 2020, 12-13.

## 4. მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვის წესი უცხო ქვეყნების სამართლის მიხედვით

### 4.1. გერმანული საოჯახო-ქონებრივი სამართალი

გერმანიის სკ-ის მე-4 ნიგნის მე-6 თავი დაყოფილია სამ ქვეგანყოფილებად, რომელიც არეგულირებს მეუღლეთა კანონისმიერ და სახელშეკრულებო ქონებრივ რეჟიმებს, ისევე როგორც საერთო ქონების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გასათვალისწინებელია, რომ სახელშეკრულებო რეჟიმის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბირთვი გაყოფილია ოთხ თავად, რომელიც მოიცავს: 1. ზოგად დებულებებს; 2. ქონებრივი სეპარაციის რეჟიმის მარეგულირებელ ნორმებს; 3. საერთო ქონების რეჟიმის მარეგულირებელ ნორმებს; 4. საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის არჩევითი რეჟიმის მარეგულირებელ ნორმებს.<sup>24</sup> გერმანიის სკ-ის 1363-ე პარაგრაფის თანახმად, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის რეჟიმის საფუძველზე.<sup>25</sup> შესაბამისად, გერმანიაში ქონებრივი რეჟიმის არჩევის თავისუფლების პრინციპი არის გათვალისწინებული, თუმცა საქორწინო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში, ქონების სეპარაცია კანონით დადგენილი მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმია, ამ უკანასკნელთა მიერ დაგროვილ ქონებრივ ნამატში მონაწილეობის პირობით, რომელიც ცნობილია როგორც საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის რეჟიმი ან „კომპენსაცია დაგროვილი ქონებრივი ნამატისათვის“.<sup>26</sup> აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, მეუღლეთა ქორწინებამდელი ინდივიდუალური ქონება არ გადაიქცევა მათ საერთო საკუთრებად, ისევე როგორც ქორწინების განმავლობაში რომელიმე მათგანის მიერ შეძენილ ქონებაზეც ასევე გავრცელდება ე.წ. ქონებრივი სეპარაციის წესი. მეორე მხრივ, ნებისმიერი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში მიღებული რაიმე ნამატი კომპენსირებულ უნდა იქნეს ზემოთ ხსენებული ქონებრივი სეპარაციის რეჟიმის შეწყვეტისას. შესაბამისად, აღნიშნული კანონისმიერი რეჟიმის მიხედვით, თითოეული მეუღლე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განკარგავს საკუთარ ინდივიდუალურ ქონებას, თუმცა ქონების განკარგვის წესი გერმანიის სკ-ის 1364-ე და მომდევნო პარაგრაფების შესაბამისად, ექვემდებარება მეორე მეუღლის თანხმობას მთლიანი ქონების გასხვისებისას ან უკვე დადებულ გარკვეულ გარიგებათა მის მიერ სავალდებულო მოწონებას.<sup>27</sup> აუცილებლად აღსანიშნავია გერმანიის სკ-ის 1414-ე პარაგრაფი, რომლის თანახმადაც თუ მეუღლეებმა საქორწინო ხელშეკრულებით გამოორიცხეს ან გააუქმეს საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის რეჟიმის მოქმედება, თუმცა თავის მხრივ არ შეუთანხმებიათ რაიმე სხვა ქონებრივი რეჟიმი, მაშინ კანონის ძალით დგინდება ქონებრივი სეპარაციის რეჟიმი.<sup>28</sup>

გერმანიის სკ-ის 1415-ე და 1518-ე პარაგრაფები არეგულირებენ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმს. 1415-ე პარაგრაფის თანახმად, მეუღლეები შეიძლება შეთანხმდნენ ამ რე-

<sup>24</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 347,-348.

<sup>25</sup> German Civil Code, 1363 Article, <[www.gesetze-im-internet.de](http://www.gesetze-im-internet.de)> [06.09.2021].

<sup>26</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 348.

<sup>27</sup> German Civil Code, 1364 და შემდგომი მუხლები, <[www.gesetze-im-internet.de](http://www.gesetze-im-internet.de)> [06.09.2021].

<sup>28</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 348.

ჟიმზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამი ერთმანეთისგან განსხვავებული საკუთრების ტიპის არსებობა: 1. მეუღლეთა თანასაკუთრება – ქონება, რომელსაც მეუღლეები შეიძენენ აღნიშნული რეჟიმის მოქმედების პერიოდში, ექვემდებარება ორივე მეუღლის მიერ ერთობლივი მართვისა და განკარგვის წესს; 2. ინდივიდუალური საკუთრება – ქონება, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნის განცალკევებულად; 3. გამოყოფილი საკუთრება – ქონება, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონებიდან გამოირიცხება და მიეკუთვნება ერთ-ერთ მათგანს, შეთანხმების შესაბამისად.<sup>29</sup> უკანასკნელ ორ შემთხვევაში ქონების მართვის უფლებამოსილება გააჩნია იმ მეუღლეს, რომელიც არის/გახდება შესაბამისი ქონების მესაკუთრე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გერმანული სამართლის მიხედვით, საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის წესი არის მეუღლეთა პირველადი კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმი, ქონებრივი სეპარაციის წესი განეკუთვნება მეორად კანონისმიერ ქონებრივ რეჟიმს, ხოლო საერთო ქონების რეჟიმის მეუღლეთა მიერ შეთანხმება ასევე დაშვებულია გერმანიის სკ-ის 1415-ე და მომდევნო პარაგრაფების მიხედვით.

#### 4.2. ფრანგული საოჯახო-ქონებრივი სამართალი

საფრანგეთის სკ-ის 1387-ე მუხლი ადგენს, რომ კანონმდებლობა აწესრიგებს მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობებს, მხოლოდ კონკრეტული შეთანხმების არარსებობის პირობებში, რომლის დადებაც მეუღლეებს შეუძლიათ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეთიკურ ნორმებს და შესაბამისი კანონით დადგენილ წესებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფრანგული სამართალი იცნობს მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის თავისუფალი არჩევის პრინციპს.<sup>30</sup>

საქორწინო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში და საფრანგეთის სკ-ის 1393-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა პირველადი კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმია შეზღუდული საერთო საკუთრების სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთმანეთისგან განსხვავებული საკუთრების ტიპების თანაარსებობა: 1. ინდივიდუალური საკუთრება – ძირითადად ფორმირებულია ქორწინებამდე შეძენილი, ასევე ქორწინების განმავლობაში მემკვიდრეობით, სუბროგაციითა ან ჩუქებით მიღებული ქონებით. 2. მეუღლეთა თანასაკუთრება – ყველა ის ქონება, რომელიც შეძენილია ნებისმიერი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში და არ მიიჩნევა ინდივიდუალურ საკუთრებად საფრანგეთის სკ-ის 1401-ე მუხლის შესაბამისად.<sup>31</sup> აღნიშნული დიქტომიიდან გამომდინარეობს, რომ ინდივიდუალური საკუთრების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება აქვს შესაბამის ინდივიდუალურ მესაკუთრე მეუღლეს, ხოლო თანასაკუთრების განკარგვა კი შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად, მეორე მეუღლის თანხმობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ არჩევითი სისტემა ან ე.წ. მეორადი კანონისმიერი რეჟიმი ამ შემთხვევაში არის ქონებრივი სეპარაციის წესი, რომლის მიხედვით მეუღლეებს გააჩნიათ მხოლოდ განცალკევებული საკუთრება, როგორც ქონების, ისე ვალდებულებების თვალსაზრის-

<sup>29</sup> იქვე, 349.

<sup>30</sup> იქვე, 333-334.

<sup>31</sup> The Civil Code of France, 1393, 1401 Articles, <[www.legifrance.gouv.fr](http://www.legifrance.gouv.fr)> [06.09.2021].

სით, ქორწინების სრული პერიოდის განმავლობაში.<sup>32</sup> აღნიშნული, ბუნებრივია, განაპირობებს ქონების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობასაც. გარდა ამისა, საფრანგეთის სკ-ის 1497-ე მუხლი მეუღლეებს ანიჭებს უფლებას, საკუთარი შეთანხმებით შეზღუდონ საერთო ქონების რეჟიმის გამოყენება ექსკლუზიურად მხოლოდ შემოსავლების მიმართ, შეცვალონ საერთო ქონების მართვის სისტემა ან განსაზღვრონ თითოეულის წილთა ოდენობა.<sup>33</sup> საფრანგეთის სკ-ის 1526-ე მუხლის თანახმად, ასეთი შეთანხმება შეიძლება შეიცავდეს უნივერსალური ქონებრივი რეჟიმის შესახებ დათქმასაც, რომლის მიხედვით ყველა ვალდებულებასა და ქონებაზე, ამჟამინდელსა თუ სამომავლოზე, საერთო ქონების რეჟიმი გავრცელდება, გარდა მეუღლეთა მიერ სპეციალურად შეთანხმებული ქონებისა და მჩუქებლის მიერ ერთ-ერთი მეუღლისათვის სპეციალურად გაკეთებული საჩუქრისა.<sup>34</sup> აგრეთვე აღსანიშნავია, საფრანგეთის სკ-ის 1569-ე მუხლი, რომელიც თავისი არსით შეესაბამება ზემოთ ხსენებული გერმანიის სკ-ის 1363-ე პარაგრაფით დადგენილი საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის რეჟიმს. აღნიშნული რეჟიმის მეუღლეთა მიერ შეთანხმების შემთხვევაში: 1. ორივე მეუღლის ქონებრივი ნამატის არსებობისას, იმ მეუღლემ, რომლის ნამატიც აღემატება მეორე მეუღლის ნამატს, ამ უკანასკნელს უნდა გადასცეს კომპენსაცია ორივე ნამატს შორის სხვაობის 1/2-ის ღირებულებით; 2. მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის ნამატის არსებობისას, მან უნდა გადაუხადოს კომპენსაცია მეორე მეუღლეს, ნამატის ღირებულების 1/2-ის ოდენობით; 3. იმ შემთხვევაში თუ არც ერთი მეუღლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ნამატის დაგროვებას ქორწინების განმავლობაში, მაშინ კომპენსაციის წესი არ გამოიყენება.<sup>35</sup>

### 4.3. ინგლისური საოჯახო-ქონებრივი სამართალი

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთში არ არსებობს რაიმე კონკრეტული რეგულაცია, რომელიც მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების საკითხს მოაწესრიგებდა.<sup>36</sup>

რაც შეეხება უშუალოდ ინგლისურ სამართალს, 1882 წელს „დაქორწინებულ ქალთა ქონებრივი უფლებების“ შესახებ აქტის მიღებიდან დღემდე, მეუღლეების საკუთრებითი რეჟიმი ამ უკანასკნელისთვის უცნობია.<sup>37</sup> შესაბამისად, ინგლისში ქორწინების ფაქტს არ აქვს რაიმე სამართლებრივი ეფექტი მეუღლეთა ქონების მიმართ. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება შეიძლება გაიგივებულ იქნეს ქონებრივი სეპარაციის რეჟიმთან, თუმცა ქორწინების შეწყვეტისას სასამართლოებმა შეიძლება იხელმძღვანელონ „მეუღლეთა ქონებრივ შემთხვევათა“ შესახებ აქტის მიხედვით, რომელიც 1973 წელს არის მიღებული.<sup>38</sup> აღნიშნული აქტის 22-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს აქვს უფლება ქორწინების განმავლობაში ნებისმიერი გზით შეძენილი ქონება გაანაწილოს მეუღლეთა შორის, გარდა ჩუქებითა და მემკვიდრეობით მიღე-

<sup>32</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 334.

<sup>33</sup> The Civil Code of France, 1497 Article, <[www.legifrance.gouv.fr](http://www.legifrance.gouv.fr)> [06.09.2021].

<sup>34</sup> იქვე, 1526 Article.

<sup>35</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 336-337.

<sup>36</sup> იქვე, 915.

<sup>37</sup> იქვე, 916; Married Woman's Property Act of 1882, <[www.legislation.gov.uk](http://www.legislation.gov.uk)> [06.09.2021].

<sup>38</sup> იქვე, 918.

ბული ქონებისა.<sup>39</sup> აღნიშნული განაწილებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მეუღლეთან დაკავშირებული გარემოებები და საჭიროების შემთხვევაში, ქორწინებამდელი ან ქორწინების შემდგომი მეუღლეთა შორის არსებული შეთანხმება ე.წ. საქორწინო ხელშეკრულება. ასეთი შეთანხმებები შეიძლება იქნეს მხარდაჭერილი ან უარყოფილი სასამართლოს მიერ, სრულად ან ნაწილობრივ, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქორწინებისა და შვილების ინტერესები, როგორც ეს დადგენილია „მეუღლეთა ქონებრივ შემთხვევათა“ შესახებ აქტის 24-ე მუხლით.<sup>40</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება დავადასტუროთ, რომ ინგლისში (ისევე როგორც უელსში) ფაქტობრივი საკუთრებითი რეჟიმი მეუღლეთა ქონებრივი სეპარაციის წესია შესაძლო სამართლებრივი გაყოფით. აღნიშნული რეჟიმი გაგებულ უნდა იქნეს როგორც სისტემა, სადაც მეუღლეთა ქონება როგორც უფლებების ისე ვალდებულებების ნაწილში, ქორწინების განმავლობაში განცალკევებული რჩება, რის გამოც მეუღლეებს ერთმანეთისგან დამოუკიდებულად გააჩნიათ ქონებაზე ფლობის, მართვისა და თავისუფალი განკარგვის უფლებამოსილებები.<sup>41</sup> მოცემული გარემოება დადასტურებულია 1925 წელს მიღებული „საკუთრების სამართლის“ შესახებ აქტის 37-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს, რომ „ქმარი და ცოლი საკუთრებითი რეჟიმის ფარგლებში რაიმე ინტერესის შექმნისას, განხილულ უნდა იქნენ, როგორც ორი პირი.“<sup>42</sup> შესაბამისად, აღნიშნული დანაწესით გამორიცხულია ქორწინების სამართლებრივი ეფექტის არსებობა მეუღლეთა ქონების მიმართ, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ქორწინება ძალაშია.

#### 4.4. იტალიური საოჯახო-ქონებრივი სამართალი

იტალიის სკ-ის 159-ე მუხლის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულების არარსებობისას, მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები უნდა მოწესრიგდეს კანონით დადგენილი საერთო ქონების რეჟიმით.<sup>43</sup> ამდენად, მეუღლეებს გააჩნიათ ქონებრივი რეჟიმის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა, თუმცა თუ ისინი არ ისარგებლებენ აღნიშნული შესაძლებლობით, მაშინ კანონით დადგენილი პირველადი რეჟიმი მეუღლეთა თანასაკუთრებაა, რომელიც მოწესრიგებულია იტალიის სკ-ის 177-ე მუხლით.<sup>44</sup> აღნიშნული რეჟიმი გაგებულ უნდა იქნეს როგორც შეზღუდული საერთო ქონების წესი, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებული ქონების არსებობას მოიაზრებს: 1. ინდივიდუალური საკუთრება – თითოეულ მეუღლეს ერთმანეთისგან განცალკევებულად გააჩნია ინდივიდუალური საკუთრება, რომელიც შედგება მკაცრად განსაზღვრული პირადი ხასიათის მქონე ქონებისგან, როგორცაა ქორწინებამდელი ან ქორწინების განმავლობაში ჩუქებით, მემკვიდრეობით სუბროგაციითა და პირადი ზიანის ანაზღაურებით შექმნილი ქონება. 2. საერთო ქონება – აღნიშნული შედგება ყველა დანარჩენი ქონებისგან, რომელიც შექმნილია ქორწინების განმავლობაში (ან სამომავლოდ შეიძლება იქ-

<sup>39</sup> Matrimonial Causes Act, 22 Article, <www.legislation.gov.uk> [06.09.2021].

<sup>40</sup> იქვე, 24 Article.

<sup>41</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A.M.O., Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 916.

<sup>42</sup> Law of Property Act of 1925, 37 Article, <www.legislation.gov.uk> [06.09.2021].

<sup>43</sup> The Civil Code of Italy, 159 Article, <www.jus.unitn.it> [06.09.2021].

<sup>44</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 432.

ნეს შეიძენილი) და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის საკუთრებად იტალიის სკ-ის 177-ე მუხლის შესაბამისად.<sup>45</sup>

რაც შეეხება მეუღლეთა ქონების მართვისა და განკარგვის წესს – იტალიის სკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, თითოეულ მეუღლეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ განახორციელონ მართვისა და განკარგვის უფლებები, თუმცა თუ აღნიშნული სცილდება ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებს, ასეთ შემთხვევაში ზემოთ ხსენებული უფლებები ერთობლივად უნდა იქნეს განხორციელებული ორივე მათგანის მიერ ან სასამართლოს თანხმობით იტალიის სკ-ის 181-ე მუხლის შესაბამისად.<sup>46</sup> აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური საკუთრების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება გააჩნია თითოეულ მეუღლეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ხოლო საერთო ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება შეიძლება სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ერთ მეუღლეს მიანიჭოს, როდესაც მეორე მეუღლე აღნიშნულ უფლებამოსილებათა განხორციელებას აბრკოლებს და ხელს უშლის.<sup>47</sup> დამატებით, ასევე შესაძლებელია, რომ ერთ-ერთმა მეუღლემ საერთო ქონების გაყოფა მოითხოვოს, ამ უკანასკნელის მეორე მეუღლის მხრიდან დაუდევარი ან სუსტი მართვისას.<sup>48</sup>

იტალიის სკ-ის 215-ე მუხლი ასევე იცნობს ქონებრივი სეპარაციის რეჟიმს, როგორც კანონით დადგენილ მეორად წესს მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტისას. ასევე ეს წესი არის ერთ-ერთი არჩევითი ქონებრივი რეჟიმიც.<sup>49</sup> იტალიის სკ-ის 210-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებს აქვთ უფლება შეთანხმდნენ ისეთ ქონებრივ რეჟიმზე, რომლის საფუძველზეც მათ შეეძლება კანონით დადგენილ წესში შეიტანონ ცვლილებები, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ეს რეჟიმი უნდა დაექვემდებაროს იმ შეზღუდვებს, რომელიც დადგენილია, იტალიის სკ-ის 210-ე მუხლით.<sup>50</sup> აღნიშნული მუხლით იკრძალება ქონების კანონით დადგენილი მართვის წესების გაუქმება და ასევე მკაცრად პერსონალური ხასიათის მქონე ქონების საერთო ქონებად მიჩნევა.<sup>51</sup> ნებისმიერ მეუღლეს შეუძლია შექმნას საკუთრების ფონდი, რომელიც შედგენილი იქნება მოძრავი და უძრავი ქონებით, ოჯახის საჭიროებების დაფარვის მიზნით. ასეთი ფონდი ექვემდებარება კანონით დადგენილ სპეციალურ რეჟიმს, რომლის მიხედვით ფონდში შემავალი ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მეუღლის ერთობლივი თანხმობით ან დამატებით სასამართლოს ნებართვით იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი შვილების ინტერესია გასათვალისწინებელი.<sup>52</sup>

## 5. დასკვნა

საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლის სასამართლო პრაქტიკაში მართებულად გამოყენების მიზნებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ სწორად გაიაზროს

<sup>45</sup> იქვე, 433.

<sup>46</sup> The Civil Code of Italy, 180, 181 Articles, <www.jus.unitn.it> [06.09.2021].

<sup>47</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 432.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> The Civil Code of Italy, 215 Article, <www.jus.unitn.it> [06.09.2021].

<sup>50</sup> იქვე, 210 Article.

<sup>51</sup> Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O., *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 433.

<sup>52</sup> იქვე.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების რეჟიმის არსი, რომელიც ორივე მათგანისათვის საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე წილთა განუსაზღვრელად თანაბარი უფლების მინიჭებას გულისხმობს. გარდა აღნიშნულისა, აუცილებელია გერმანულ სამართალზე დაყრდნობით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში „ოჯახის საჭიროებების დაფარვის“ კრიტერიუმის შემოღება და მის საფუძველზე საქართველოს სკ-ის 1160-ე მუხლში მითითებული განკარგვის გარიგების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განმარტება, გამსხვისებელი მეუღლის ნების დადგენის მიზნით. შესაბამისად, მაშინ როდესაც გამსხვისებელი მეუღლის მიერ საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა შეესაბამება „ოჯახის საჭიროებების დაფარვის“ მიზანს, გარიგება უნდა დარჩეს ძალაში და აქედან გამომდინარე აღნიშნული შემთხვევა თავისი შედეგით უნდა გაუთანაბრდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით საერთო ქონების განკარგვას. ქართული საოჯახო სამართლისათვის კრიტიკული მნიშვნელობისაა იმის დადგენა თუ როგორი ტიპის ქონებრივ რეჟიმებს განსაზღვრავენ უცხო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სკ-ის 1158-ე, ასევე 1176-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ქონებრივი რეჟიმები ასევე ცნობილია წინამდებარე ნაშრომში განხილული გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იტალიური სამართლის სისტემებისათვის, რაც მათი კვლევის აქტუალობას ცხადად წარმოაჩენს. თუმცა ქართული საოჯახო სამართლისათვის სრულებით უცხო სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება გერმანულ სამართალში მოქმედი პირველადი კანონისმიერი რეჟიმით დადგენილი საერთო დაგროვილი ქონებრივი ნამატის წესი, რომელიც ქართველი იურისტებისათვის ნაცნობი ქონებრივი რეჟიმების კვალდაკვალ, უპირველესად აკადემიურ წრეებში უნდა იქცეს სამეცნიერო კვლევის საგნად.

#### ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/08/1995.
3. ბიჭია მ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, № 01(61), 2019, 90.
4. მაისურაძე დ., განკარგვით ხელყოფის კონდიქცია ქართულ და გერმანულ სამართალში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, № 8, 2020, 12.
5. ნინუა ე., მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, № 03(34), 2012, 50.
6. რუსიაშვილი გ., გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, № 1, 2019, 20.
7. რუსიაშვილი გ., კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2015, 257.
8. რუსიაშვილი გ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, № 10, 2020, 12-13, 18.
9. რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბ., 2016, 39.
10. ფხალაძე ნ., მეუღლეთა საერთო საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი, „სამართალი და მსოფლიო“, № 14, 2020, 168.
11. ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, № 8, 2018, 88.
12. შენგელია რ., შენგელია რ., საოჯახო სამართალი, თბ., 2011, 158-159, 162.





36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-571-879-2009.
37. German Civil Code, 01/01/1900.
38. The Civil Code of France, 21/03/1804.
39. Matrimonial Causes Act, 23/05/1973.
40. Law of Property Act, 09/04/1925.
41. Married Woman's Property Act, 18/08/1882.
42. The Civil Code of Italy, 16/03/1942.
43. *Burton F.*, Family Law, London, 2003, 4.
44. *Frier B. W., McGinn T. A. J.*, A Casebook on Roman Family Law, Oxford, 2004, 3.
45. *Herring J.*, Family Law, Oxford, 2017, 2-4.
46. *Izquierdo A. O., Rodriguez A. M. O., Izquierdo A. M. O.*, Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 333-334, 336-337, 347, 348-349, 432-433, 915-916, 918.
47. *Muller-Freienfels W.*, Family Law and the Law of Succession in Germany, International and Comparative Law Quarterly, Vol. 16, 1964, 409.
48. <[www.publications.parliament.uk](http://www.publications.parliament.uk)> [11.09.2021].
49. <[www.legislation.gov.uk](http://www.legislation.gov.uk)> [06.09.2021].
50. <[www.jus.unitn.it](http://www.jus.unitn.it)> [06.09.2021].
51. <[www.legifrance.gouv.fr](http://www.legifrance.gouv.fr)> [06.09.2021].
52. <[www.gesetze-im-internet.de](http://www.gesetze-im-internet.de)> [06.09.2021].